სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

07 ნოემბერი, 2023 წელი

ბრძანება N 01-02/205

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირის პროგრამის ენის ფლობის დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების **მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების,** „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების **მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების,** „ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების **ბსუ-ში ჩარიცხვის წესის** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს **2023 წლის 05 სექტემბრის N99 დადგენილების,** ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა **ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის** (N1392783, 18/10/2023), ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის უფროსის სამსახურებრივი ბარათების (N1399234, 18/10/2023; N1445614, 26/10/2023), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (N1507308, 07/11/2023) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული ,,**ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული** გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების **გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირის პროგრამის ენის ფლობის დადასტურების წესი"** (წინამდებარე ბრძანების **N1 დანართი**).
2. <u>ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი</u> ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან საგანმანათლებლო პროგრამის ენაში გასაუბრების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის **2018 წლის 25 ივლისის N01-08/95 ბრძანება.**
3. <u>ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი</u> ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან გასაუბრების ჩასატარებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ' ბსუ-ს რექტორის **2018 წლის 12 ივლისის N01-08/85 ბრძანება.**
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს (უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრს), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს (ქართული ფილოლოგიის დარგობრივ დეპარტამენტს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 07 ნოემბრის N01-02/205 ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირის პროგრამის ენის ფლობის დადასტურების წესი

1. ,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირის პროგრამის ენის ფლობის დადასტურების წესი" (შემდეგში - **,,წესი") ადგენს** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - ,,ბსუ" ან ,,უნივერსიტეტი") ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ **ბსუ-ს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ენის ფლობის დადასტურების რეგულაციას.**
2. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში **ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე** აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების **მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის**", სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 ნოემბრის №1465694 ბრძანებით განახლებული **,,მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის**" (ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის) და **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 05 სექტემბრის N99 დადგენილებით დამტკიცებული** „ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების **ბსუ-ში ჩარიცხვის წესის**" შესაბამისად.
3. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი აპლიკანტის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების შესაძლებლობის თაობაზე **ბსუ-ს რექტორის წერილობითი თანხმობა გაიცემა** ამ პირის მიერ არჩეული ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ **B1** დონეზე ფლობის დადასტურების შემთხვევაში.
4. ბსუ-ს ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის **არანაკლებ B1 დონეზე** ფლობის დადასტურების მიზნით უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდიდან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელ სერტიფიკატს. დასაშვებია ბსუ-ს ქართულენოვან პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველის მიერ ბსუ-ს ,,ქართული ენა უცხოელთათვის" მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული არანაკლებ B1 დონის მითითებით სერტიფიკატის წარმოდგენა.
5. მედიცინის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე **ჩარიცხვისათვის რექტორის წერილობითი თანხმობის**

გაცემისათვის აბიტურიენტი/სტუდენტი (შემდეგში - **აპლიკანტი) უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:**

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert®, EnglishScore და სხვ.);

ბ) ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა), ასევე საქართველოს მოქალაქემ, რომელმაც ინგლისურ ენაზე უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომელიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდა უცხო ქვეყანაში, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა);

გ) ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურების მიზნით უცხო ქვეყნის მოქალაქემ უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა (რომელის მოიცავს კომპონენტებს: 1; **მოსმენა; 2. წაკითხული ტექსტის გააზრება და ანალიზი; 3. საუბარი).**

6. აპლიკანტის ინგლისური ენის/ქართული ენის სერტიფიკატის განხილვაზე და ბსუ-ს შესაბამისი პროგრამის ენის ფლობის დადასტურებაზე/გამოცდის ორგანიზება-ჩატარებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულებია (შემდეგში - **უფლებამოსილი პირები):**

   ა) ბსუ-ს ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი (შემდეგში - **უცხო ენების ცენტრი)** - ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლის მსურველი აპლიკანტის შემთხვევაში.

   ბ) **ქართული ფილოლოგიის** დარგობრივი დეპარტამენტი - ქართულენოვან პროგრამაზე სწავლის მსურველი აპლიკანტის შემთხვევაში.

7. ბსუ-ში ჩარიცხვის მსურველის მიერ ბსუ-ს შესაბამისი პროგრამის სწავლების ენის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, უცხო ენების ცენტრი/ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი წარუდგენს **სამსახურებრივ ბარათს** ბსუ-ს რექტორს, **რომელშიც ასახავს დასკვნას** წარმოდგენილი სერტიფიკატის გათვალისწინებით აპლიკანტის მიერ პროგრამის **სწავლის ენის ფლობის დონის დადასტურებაზე** (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში) **ან** პროგრამის სწავლის ენაში უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული **გამოცდის ჩატარების საჭიროების შესახებ.**

8. პროგრამის სწავლების ენის გამოცდა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), როგორც წესი, ტარდება აპლიკანტთან პირისპირ, საუნივერსიტეტო სივრცეში. „დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის დასაშვებია გამოცდა ჩატარდეს დისტანციურად, უნივერსიტეტის ორგანიზებით და პერსონალის ჩართულობით, ბსუ-ში ან სხვა საგანმანათლებლო ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9. პროგრამის სწავლების ენაში (ქართული/ინგლისური) გამოცდის კომპონენტები, შეფასების წესი და ხანგრძლივობა განისაზღვრება წინამდებარე წესის დანართების შესაბამისად (წესის **დანართი N1 - ქართულის ენის გამოცდის ჩატარების წესი;** წესის **დანართი N2 - ინგლისური ენის გამოცდის ჩატარების წესი).**

10. ბსუ-ში ჩარიცხვის მსურველთან პროგრამის სწავლების ენის დონის დადგენის მიზნით გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს ბსუ-ს ენების ცენტრის/ქართული

ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პერსონალი **(გამომცდელი** - დასაქმებული შეირჩევა უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ და სამსახურებრივი ბარათი წარედგინება რექტორს).

11. აპლიკანტთან გამოცდის **დისტანციურად (ელექტრონულად) ჩატარების შემთხვევაში,** ვიდეოჩანაწერისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ვიდეო-კამერა და შტატივი (ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვიდეო-სტუდიის ტექნიკური აღჭურვილობა), ხოლო დაარქივებისათვის - ბსუ-ს **ელექტრონული ფოსტა** videoarchive@bsu.edu.ge.
12. ბსუ-ს უცხო ენების ცენტრი/ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი ამზადებს სამსახურებრივი ბარათს აპლიკანტის მიერ პროგრამის სწავლების ენის ფლობის დადასტურების თაობაზე **ან** პროგრამის სწავლების ენაში აპლიკანტისათვის ჩატარებული **გამოცდის შედეგების შესახებ** (აპლიკანტის მიერ გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში).
13. ბსუ-ს უცხო ენების ცენტრის/ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის წერილობითი ინფორმაციის/მასალის საფუძველზე **ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტი ამზადებს** სამსახურებრივ ბარათს აპლიკანტის მიერ ამ ფაკულტეტის პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების დაკმაყოფილების თაობაზე.
14. წინამდებარე ბრძანების მიზნებისათვის **ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია ორგანიზებას/ადმინისტრირებას უწევს** ბსუ-ში ჩარიცხვის მსურველის მიერ პროგრამის ენის ცოდნის დადასტურების/გამოცდის ჩატარების პროცედურების შესახებ აპლიკანტის სრულად ინფორმირებას (გასაუბრების დროის, ადგილის, ფორმატის, პირობების, თემატიკის შესახებ მათთან კომუნიკაცია), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 05 სექტემბრის N99 დადგენილებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის წესით“ გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებას და მიღებული შედეგების შესახებ ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურებისათვის ინფორმაციის წარდგენა-გაცვლას.
15. წინამდებარე წესი, პროგრამის სწავლების ენაში გამოცდის ჩატარების და შეფასების წესის შესახებ სამართლებრივი აქტი და ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებგვერდზე.

,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირის **პროგრამის ენის ფლობის დადასტურების წესის“**

N1 დანართი

ბსუ-ს ქართულენოვან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აპლიკანტის მიერ **ქართული ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურებისათვის გამოცდის კომპონენტები, შეფასების წესი და ხანგრძლივობა**

აბიტურიენტს/მაგისტრანტობის კანდიდატს/სტუდენტს **ბსუ-ს ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობა დადასტურებულად ჩაეთვლება,** თუ მას შეუძლია დიალოგის წარმართვა და კომუნიკაციის მიზნის მიღწევა მთელ რიგ განსხვავებულ სიტუაციებში, მაგალითად ესმის მის გარშემო მიმდინარე ხანგრძლივი მსჯელობის ძირითადი არსი, თუ საუბარი ნელი ტემპით და სალიტერატურო ენით არის წარმართული, შეუძლია საკუთარი აზრს გამოთქმა ან მეგობრული საუბარში სხვათა აზრის გამოკითხვა, თავისი გამონათქვამის აზრის ნათლად და მკაფიოდ გამოხატვა; მარტივი ენობრივი საშუალებების დიდი ოდენობით და საკმაოდ თავისუფლად გამოყენება; სხვათა საუბარში ან განხილვაში ჩართვა. ლაპარაკობს გასაგებად, მაგრამ შესამჩნევი პაუზებით, რაც გრამატიკული კონსტრუქციების მოსაფიქრებლად, ლექსიკურად გასაფორმებლად სჭირდება, განსაკუთრებით მონოლოგური მეტყველების ხანგრძლივ მონაკვეთში.

ქართული ენის **B1** დონეზე ფლობის დამადასტურებლად აბიტურიენტმა/მაგისტრანტობის კანდიდატმა/სტუდენტმა გასაუბრებაზე/გამოცდაზე უნდა წარმოაჩინოს ცოდნა და უნარ-ჩვევები **3 მიმართულებით:** მოსმენა, წაკითხულის გააზრება, ლაპარაკი, კერძოდ:

მოსმენა:

- შეუძლია გაიგოს სტანდარტული მეტყველების ძირითადი არსი
- ესმის მარტივი ტექნიკური ინსტრუქციები
- ესმის მის გარშემო მიმდინარე ხანგრძლივი მსჯელობის ძირითადი არსი, თუ საუბარი ნელი ტემპით და სალიტერატურო ენით არის წარმართული.

წაკითხული ტექსტის გააზრება:

- შეუძლია მოკლე ტექსტების, სადაც მოცემულია მოკლე ინსტრუქციები, მთავარი ინფორმაციის გაგება
- შეუძლია მოკლე, მარტივ ტექსტებში (ნაცნობ თემებზე) ძირთადი შინაარსის გაგება
- შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს პირადი წერილები, აქტუალურ თემებზე დაწერილი მოკლე ტექსტები, რომლებიც ეხება მოვლენებს, გრძნობებს, ასახავს სხვადასხვა მოსაზრებებს.

საუბრის უნარი:

- შეუძლია საკუთარი თავისა და სხვების წარდგენა, ოცნებების, იმედებისა და მიზნების აღწერა
- შეუძლია ნაცნობ თემებზე დაიწყოს საუბარი, გამოთქვას აზრი და სხვასაც დაუსვას შეკითხვები
- დისკუსიის დროს შეუძლია მოკლედ გამოთქვას საკუთარი აზრი, დაასახელოს პრობლემა და დაასაბუთოს

ბსუ-ში ჩასატარებელი ქართული ენის გამოცდის ხანგრძლივობა - 50 წთ;

გამოცდის კომპონენტების (სტრუქტურა) **მიხედვით** აპლიკანტი ფასდება შემდეგი ქულებით:
1. მოსმენა - 15 ქულა; 2. წაკითხული ტექსტის გააზრება – 15 ქულა 3. საუბრის უნარი - 10 ქულა.

გამოცდის კომპონენტების (სტრუქტურის) მიხედვით **აპლიკანტის საბოლოო შეფასება შეიძლება იყოს 2 სახის, დადებითი ან უარყოფითი, რომლიც განისაზღვრება შემდეგნაირად:**

1. **21 - 40 ქულა** (დადებითი შეფასება) - აპლიკანტს აქვს საკმარისი უნარი და **ქართული** ენის ცოდნის შესაბამისი დონე (**არანაკლებ B1**), რომ სწავლა განახორციელოს **ქართულენოვან** პროგრამაზე.
2. **0 - 20 ქულა** (უარყოფითი შეფასება) - აპლიკანტი ვერ საუბრობს გასაგები ენით, ვერ იცავს გრამატიკულ ნორმებს. ვერ ახერხებს კომუნიკაციის დამყარებას და საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვას როგორც ზეპირად ასევე წერილობით. უჭირს წაკითხული ტექსტის ანალიზი და მოსმენილი ტექსტის გააზრება. აპლიკანტი ვერ აკმაყოფილებს **ქართულენოვან** პროგრამაზე სწავლისათვის საჭირო მოთხოვნებს (**არანაკლებ B1 დონეზე არ ფლობს ქართულ ენას**).

ქართულ ენაში საგამოცდო ტესტის ნიმუში

ნაწილი 1

მოსმენა - 15 ქულა

1. მოისმინეთ ტექსტი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

ანას დაბადების დღე

თარიღი: *1 15 იანვარი*

ანას დაბადების დღე არის 2 .....
ქალბატონი ელენე ბაზარში იყო 3 .....
ბაზარში ყველაზე ძვირი იყო 4 .....
ბაზარში ყველაზე იაფი არის 5 .....
სტუმრებისთვის დედა გამოაცხობს 6 .....
დედამ ანასთვის საჩუქრად იყიდა 7 .....
დედა საჩუქრისთვის წავიდა 8 .....
დაბადების დღეზე იქნებიან: 9 .....
სტუმრები მოვლენ 10 .....საათზე
სტუმრები დაბადების დღეზე კარგად 11 .....

2. მოსმენილი ტექსტის მიხედვით აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი პასუხები

(-)

1. 15 იანვარი ანას დაბადების დღეა +
2. ქალბატონი ელენე ბაზრის შემდეგ სავაჭრო ცენტრში მიდის
3. ქალბატონი ელენე პროდუქტებს სუპერმარკეტში ყიდულობს
4. ანას ნათესავები და მეგობრები დაბადების დღეზე კარგად გაერთობიან
5. დედას ანასთვის ლამაზი კაბა შეარჩია
6. ანას დაბადების დღეს რესტორანში აღნიშნავენ

ნაწილი 2

წაკითხული ტექსტის გააზრება-15 ქულა

წაიკითხეთ ტექსტი !

ეს ალექსანდრეა. იგი უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს მეოთხე სართულზე. ალექსანდრე თავის მეგობარ, რობერტთან ერთად ცხოვრობს. ალექსანდრე ქართველია, რობერტი კი - სომეხი. ალექსანდრე და რობერტი ერთად მუშაობენ. თბილისში ისინი სემინარზე ჩამოვიდნენ. სემინარი ყოველდღე დილის 10 საათზე იწყება და მთავრდება საღამოს 6 საათზე. 9 საათზე საუზმობენ, ორის ნახევარზე _ სადილობენ, შვიდის

ნახევარზე კი _ ვახშმობენ. შუადღისას 2-დან 3 საათამდე შესვენება აქვთ. 3 საათზე სემინარი ისევ გრძელდება. სემინარი ძალიან საინტერესოა. ამ სემინარებზე ბევრი რამ ისწავლეს. საღამოს 7 საათის შემდეგ ისინი თავისუფლები არიან. ალექსანდრეს და რობერტს ძალიან უყვართ თეატრი. ისინი იყვნენ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. საღამოს

თბილისის დასათვალიერებლად მიდიან. როცა სახლში ბრუნდებიან, საუბრობენ პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე, სპორტზე. საღამოს 11 საათზე იძინებენ, დილით კი ადრე დგებიან და სემინარზე მიდიან.

ა) წაკითხული ტექსტის მიხედვით აღნიშნეთ სწორი პასუხი: ა), ბ), გ) ან დ).

1. ალექსანდრე და რობერტი.....

ა) მეგობრები არიან

ბ) ნათესავები არიან

გ) კოლეგები არიან

დ) ალექსანდრემ და რობერტმა სემინარზე გაიცნეს ერთმანეთი

2. ალექსანდრე ..... სართულზე ცხოვრობს, რობერტი .....

ა) ალექსანდრე ცხოვრობს მეოთხე სართულზე, რობერტი-მეორე სართულზე

ბ) ორივე მეოთხე სართულზე ცხოვრობს.

გ) რობერტი ცხოვრობს პირველზე, ალექსანდრე-მეოთხეზე

დ) არც ერთი პასუხი არაა სწორი

3. ალექსანდრეს და რობერტს შესვენება აქვთ .....

ა) 13:30 -საათიდან 16 საათამდე

ბ) 14-დან 15-მდე

გ) ზოგჯერ 13:30 საათზე, ზოგჯერ 14:00 საათზე

დ) შესვენება საერთოდ არა აქვთ.

4. ალექსანდრეს და რობერტს უყვართ.....

ა) თეატრი, ბ) სპორტი გ) თეატრი და სპორტი დ) გართობა

5. მეგობრები ..... იძინებენ და .....დგებიან

ა) ადრე იძინებენ და გვიან დგებიან

ბ) გვიან იძინებენ და ადრე დგებიან

გ) ადრე იძინებენ და ადრე დგებიან

დ) ზოგჯერ ადრე იძინებენ, ზოგჯერ გვიან

6. რა თემაზე საუბრობენ მეგობრები?

ა) თეატრზე ბ) სპორტზე გ) პოლიტიკასა და ხელოვნებაზე დ)

პოლიტიკაზე, ხელოვნებასა და სპორტზე.

ბ) ისევ წაიკითხეთ ტექსტი და აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი პასუხები (-)

1. ალექსანდრე და რობერტი საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ +
2. მეგობრები არიან, მაგრან სხვადასხვა სამსახურში მუშაობენ
3. მეგობრები 9 საათზე საუზმობენ, ორზე _ სადილობენ, შვიდის ნახევარზე კი _ ვახშმობენ
4. სემინარი სამი საათი გრძელდება
5. მეგობრები დადიან რუსთაველის თეატრში
6. სემინარის მონაწილეები ხშირად საუბრობენ პოლიტიკაზე, სპორტზე, თეატრზე
7. სემინარები რუსთავში ტარდება
8. სემინარები გრძელდება საღამოს ცხრა საათამდე
9. ალექსანდრე და რობერტი ერთ სართულზე ცხოვრობენ
10. ალექსანდრემ და რობერტმა სემინარებზე ბევრი საინტერესო რამ ისწავლეს
11. სემინარი კვირაში სამი დღე ტარდება

ნაწილი 3

საუბრის უნარი (10 ქულა)

1. ისაუბრეთ თქვენ შესახებ
2. ვინ არის თქვენი საუკეთესო მეგობარი და როგორია ის?
3. სად მდებარეობს თქვენი უნივერსიტეტი?
4. ისაუბრეთ თქვენი ოჯახის შესახებ
5. რა პროფესია მოგწონთ?

6. რა იცით ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ?
7. რომელი ქალაქები იცით საქართველოში?
8. საიდან ხართ? რატომ ხართ საქართველოში, ბათუმში?
9. რომელი სპორტი გიყვართ? ვინ არის თქვენი საყვარელი სპორტსმენი?
10. რომელი სეზონია ახლა და როგორი ამინდია დღეს?

პასუხები:

ნაწილი 1. მოსმენა (15 ქულა)

1: მოისმინეთ ტექსტი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

2: ტექსტის მიხედვით აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი პასუხები (-)

მოსასმენი ტექსტი:

ანას დედა, ქალბატონი ელენე, შაბათს, ადრე დილით, 08:00 საათზე ბაზარში წავიდა. ბაზარში ახალი პროდუქტები იყო. ქალბატონმა ელენემ იყიდა სხვადასხვა ბოსტნეული, ხილი, ქათამი, ყველი, ხორცი. ხილი იაფად იყიდა. ყველი და ხორცი ძვირი იყო. ყველი 3 კილო იყიდა. კვირას, 15 იანვარს, ანას დაბადების დღეა და დედამ ხაჭაპური უნდა გააკეთოს. სალათებსაც გააკეთებს და ტორტსაც გამოაცხობს. ბაზრის შემდეგ, 10 საათზე, ქალბატონი ელენე სახლში დაბრუნდა, ცოტა დაისვენა და შემდეგ სავაჭრო ცენტრში წავიდა. ანასთვის ლამაზი კაბა იყიდა. სტუმრებს 18 საათისთვის ელოდებიან. დაბადების დღეზე ბევრი სტუმარი მოვა: ნათესავები, ანას მეგობრები და კარგად გაერთობიან.

1: 2 -კვირა; 3- 08:00-10:00; 4- ხორცი და ყველი;.5- ხილი; 6 -ხაჭაპური და

ტორტი; 7-კაბა; 8-სავაჭრო ცენტრში; 9-ანას ნათესავები, მეგობრები; 10-18:00;

11-გართობა

2: 2 + 3 - 4 + 5 + 6 -

ნაწილი 2. წაკითხული ტექსტის გააზრება - 15 ქულა

ეს ალექსანდრეა. იგი უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს მეოთხე სართულზე. ალექსანდრე თავის მეგობარ, რობერტთან ერთად ცხოვრობს. ალექსანდრე ქართველია, რობერტი კი _ სომეხი. ალექსანდრე და რობერტი ერთად მუშაობენ. თბილისში ისინი სემინარზე ჩამოვიდნენ. სემინარი ყოველდღე დილის 10 საათზე იწყება და მთავრდება საღამოს 6 საათზე. 9 საათზე საუზმობენ, ორის ნახევარზე _ სადილობენ, შვიდის ნახევარზე კი _ ვახშმობენ. შუადღისას 2-დან 3 საათამდე შესვენება აქვთ. 3 საათზე სემინარი ისევ გრძელდება. სემინარი ძალიან საინტერესოა. ამ სემინარებზე ბევრი რამ ისწავლეს. საღამოს 7 საათის შემდეგ ისინი თავისუფლები არიან. ალექსანდრეს და რობერტს ძალიან უყვართ თეატრი. ისინი იყვნენ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. საღამოს თბილისის დასათვალიერებლად მიდიან. როცა სახლში ბრუნდებიან, საუბრობენ პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე, სპორტზე. საღამოს 11 საათზე იძინებენ, დილით კი ადრე დგებიან და სემინარზე მიდიან.

ა) წაკითხული ტექსტის მიხედვით აღნიშნეთ სწორი პასუხი:

1 - ა), ბ), გ) ან დ).

2-გ; 3-ბ; 4-გ; 5 -გ; 6-დ

ბ) ისევ წაიკითხეთ ტექსტი და აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი პასუხები

(-)

2 + 3- 4- 5+ 6+ 7- 8 - 9 + 10+ 11 -

,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირის **პროგრამის ენის ფლობის დადასტურების წესის“ N2 დანართი**

ბსუ-ს **ინგლისურენოვან** საგანმანათლებლო პროგრამაზე **,,დიპლომირებული მედიკოსი“** ჩარიცხვის მსურველი აპლიკანტის მიერ **ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურებისათვის გამოცდის კომპონენტები, შეფასების წესი და ხანგრძლივობა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 ნოემბრის №1465694 ბრძანებით განახლებული ,,მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის“ თანახმად, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში უცხო ქვეყნის მოქალაქის - აბიტურიენტის დაშვების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ინგლისური ენის **არანაკლებ B1 დონის** დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის ქონა (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert®, EnglishScore და სხვ.). **სერტიფიკატის არარსებობის შემთხვევაში** აპლიკანტის მიერ ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონის ფლობის დადასტურების მიზნით **აპლიკანტმა უნდა გაიაროს ბსუ-ს მიერ ორგანიზებული გამოცდა, რომელიც მოიცავს კომპონენტებს:** 1. მოსმენა; 2. წაკითხული ტექსტის გააზრება და ანალიზი; 3.საუბარი.

აპლიკანტს B1 დონეზე ინგლისური ენის ფლობა დადასტურებულად ჩაეთვლება, თუ მას შეუძლია დიალოგის წარმართვა და კომუნიკაციის მიზნის მიღწევა მთელ რიგ განსხვავებულ სიტუაციებში, მაგალითად, ესმის მის გარშემო მიმდინარე მსჯელობის ძირითადი არსი, თუ საუბარი ნელი ტემპით და სალიტერატურო ენით არის წარმართული, შეუძლია საკუთარი აზრის გამოთქმა ან მეგობრულ საუბარში სხვათა აზრის გამოკითხვა, თავისი გამონათქვამის აზრის ნათლად და მკაფიოდ გამოხატვა; მარტივი ენობრივი საშუალებების დიდი ოდენობით და საკმაოდ თავისუფლად გამოყენება.

ბსუ-ში ჩასატარებელი გამოცდის ხანგრძლივობა - 50 წთ;

ინგლისური ენის გამოცდის კომპონენტების (სტრუქტურის) **მიხედვით აპლიკანტი ფასდება შემდეგი ქულებით:**

1. მოსმენა - 15 ქულა; 2. წაკითხული ტექსტის გააზრება და ანალიზი - 15 ქულა 3. საუბრის უნარი - 10 ქულა.

გამოცდის კომპონენტების (სტრუქტურის) **მიხედვით აპლიკანტის საბოლოო შეფასება შეიძლება იყოს 2 სახის, დადებითი ან უარყოფითი, რომლიც განისაზღვრება შემდეგნაირად:**

- **21-40 ქულა** (დადებითი შეფასება) - აპლიკანტს აქვს საკმარისი უნარი და ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონე **(არანაკლებ B1)**, რომ **სწავლა განახორციელოს ინგლისურენოვან პროგრამაზე.**
- **0-20 ქულა** (უარყოფითი შეფასება) - აპლიკანტი ვერ საუბრობს გასაგები ენით, ვერ იცავს გრამატიკულ ნორმებს, ვერ ახერხებს კომუნიკაციის დამყარებას და საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვას როგორც ზეპირად ასევე წერილობით, უჭირს წაკითხული ტექსტის ანალიზი და მოსმენილი ტექსტის გააზრება. აპლიკანტი ვერ აკმაყოფილებს ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლისათვის საჭირო მოთხოვნებს, შესაბამისად, **არანაკლებ B1 დონეზე არ ფლობს ინგლისურ ენას).**

ინგლისურ ენაში საგამოცდო ტესტის ნიმუში

PART 1
Listening - 15 points

1. Listen to a teacher talking about a school trip and complete the notes.

<u>Visit to the Science Museum</u>

Date: [1] *27th May*
Coach leaves at: [2] _____ a.m.

Museum opens: 10a.m. to [3] _____ p.m.
1st guided tour at: [4] _____
Name of Exhibition: *Antenna*

Coffee break at: [5] _____ a.m.

Number of themed galleries: [6] _____
Recommended: *Making the* [7] _____ *World* and *The Secret Life of the Home*

Lunch in: [8] _____ area at 12.30p.m.

IMAX film at: 1.15p.m.
Name of film: *Space* [9] _____

2nd guided tour at: 2.45p.m.
Name of exhibition: [10] _____ *Forward*

Free time: 3.45 to [11] _____ p.m.
Home by: 8.00p.m.

2. Listen again and decide if the following sentences are true (T) or false (F).

1 The teacher advises his students to be in the car park by 7.30a.m. _F_

2 The Wellcome Wing has exhibitions about modern art and science. ___

3 The teacher recommends two permanent exhibitions on contemporary science. ___

4 The students will watch a film about daily life on the International Space Station.___

5 *Fast Forward* is an exhibition about how Formula One technology is being adapted for use in daily life. ___

6 The visit will end with a guided tour of some interesting new galleries. ___

PART 2
Reading (Text comprehension and analysis) – 15 points

Read the text and underline the correct answer, a), b), c) or d).

Dr Maggie Aderin-Pocock, Space Scientist

Born to Nigerian parents in London, my journey to success as a space scientist has not been easy. When I was young, I was moved around a lot because of family problems and ended up going to a total of thirteen different schools. I was also discovered to be dyslexic* and was often placed in the remedial classes*2 as a result. Although I had dreams and ambitions for my future from an early age, when I told teachers that I wanted to become an astronaut and go to the Moon I was encouraged instead to go into nursing, a career which they considered to be more suitable for me.

Fortunately my family, especially my father, gave me a lot of real support and encouraged me to follow my dreams. Without this I may never have succeeded in leaving school with high grades in A-level maths, physics, chemistry and biology. These results made it possible for me to then face the challenge of doing a physics degree at Imperial College London, which I completed in 1990. After which, I went on to gain a PhD in mechanical engineering.

My career in space science has, over the years, given me opportunities to work on a wide range of exciting projects around the world and I have now become one of the presenters of The Sky at Night, which is a TV programme about astronomy*3. Although I enjoy all the elements of my current work, I am now also keen to encourage more children, particularly girls, into science. It remains a very male-dominated profession even in this day and age. I strongly believe that science can have a huge impact on our lives and know from personal

experience that if you have a dream and work hard, you can succeed. I appreciate every day how lucky I am to love the work I do, and I still have a dream to fulfil in my future: to retire to Mars.

1 In this text, Maggie is describing
a) *the journey she took to get where she is today.*
b) the challenges of the profession she works in.
c) the difficulties she faced at university.
d) how hard it is for women to become scientists.
2 What does Maggie say about her school days?
a) Her teachers didn't know she was dyslexic.
b) She spent a lot of time in the lowest class.
c) Her parents didn't care if she did badly.
d) She was always put into the top class.
3 When talking about her family, Maggie says that
a) she couldn't have succeeded without them.
b) they never encouraged her at school.
c) her mum was her biggest supporter.
d) her parents wanted her to go into nursing.
4 What does Maggie feel is important in our lives?
a) Getting a job in science
b) Having the chance to go to university
c) Following our dreams
d) Having a passion for life
5 Why does Maggie feel she is lucky?
a) Because she has worked hard and succeeded.
b) Because she has travelled widely with her job.
c) Because she has become a TV celebrity.
d) Because she has a passion for her work.
6 What might Maggie say about her future goal?
a) 'I'm happy I can retire to somewhere different.'
b) 'While it's not possible yet, I'll make it happen.'
c) 'I'm not sure it'll be possible but perhaps someone else will make it happen.'
d) 'It's highly unlikely to ever become reality.'

b. Read the article again. Underline True (T) or False (F). Give textual evidence.

1 Becoming a space scientist came easily to Maggie. F
2 Maggie's childhood was a stable one. .....
3 Her teachers didn't believe her dream was achievable. .....
4 Before deciding to become a scientist, she had thought about becoming a nurse. .....
5 Without support from her family, Maggie is unlikely to have got the A levels she did. .....
6 Her only area of real interest was physics. .....

7 A varied career has allowed her to work on projects abroad. .....

8 Maggie is about to start presenting an astronomy programme on TV. .....

9 Maggie wishes to share her enthusiasm with young people and inspire more girls to get into science. .....

10 There are more female scientists than males. .....

11 When she stops working, she'd love to live the rest of her life on another planet. .....

Part 3
Speaking (10 points)

1. Tell us about yourself.
2. What do you enjoy doing in your free time?
3. Why would you like to study at our university?
4. What does being successful look like to you?
5. What do you expect to be doing in 5 years from now? / Can you imagine your life in about 5 years time?
6. In your opinion, what are the most important qualities for a good (*whatever the applicant's future profession is* ..) to have?
7. Can you talk about someone you admire and say why?
8. Where did you go on your last holiday and what did you do there? / When was the last time you were happy about something?
9. Have you ever helped someone who was in danger? / What kind of things have you done in your life which made you feel proud?
10. What would you do If you won the lottery? / If you could change one thing in the world, what would it be?

Answer Key:

Part 1. Listening

1: 2 8 3 6 4 10.15 5 11 6 20
7 Modern 8 picnic 9 Station
10 Fast 11 5.30

2: 2 F 3 F 4 T 5 T 6 F

Tapescript

Teacher: Good morning everybody. Before we start the class today, I need to give you some information about our field trip on the twenty-seventh of May – next Friday, in fact. As you know, we're spending the day at the amazing Science Museum in London. The coach will pick us up in the school car park. We'll leave at eight o'clock so plan to be here at least fifteen minutes before that – 7.45 at the latest. You'd better set your alarms for 6.30, OK? Our visit's been confirmed by the museum and I've just received the itinerary and information about the activities they've organised for us. If you've visited the Science Museum before, you'll know that it's enormous and we can't possibly see everything in one day. You may want to take some notes now – though I'll also put the info on the class website later on. The museum opens from 10a.m. to 6p.m. If all goes well, we hope to arrive by 10.15 latest, when we'll have our first guided tour of the day – there are two, by the way. If you read the newspaper last Sunday, you'll have seen the article about the re-opening of the Wellcome Wing last week.

It now has three state-of-the-art galleries, which deal only with contemporary science. We're going to have a guided tour of one of them – an exhibition called *Antenna,* which is about how the latest scientific discoveries could change our lives. You'll also have the opportunity to give your opinions about the latest ideas. Now remember, the museum has lots of hands-on multimedia stuff so you won't get bored – I'm sure you'll find it fascinating. Then at eleven o'clock we'll have a coffee break and you'll be free to visit the permanent exhibitions until 12.30. There are twenty galleries with different themes so you'll only have time to see two or three properly. If I were you, I wouldn't miss the one called *Making the Modern World* – which is marvellous. It shows the development of the modern industrial world in a really entertaining and creative way.

Also watch out for *The Secret Life of the Home*. It's great fun and you'll be amazed by all the gadgets people used to use in the house – and will use in the future! Then it's lunchtime. We've ordered a picnic from the café, which we'll eat in the 'picnic area' on the first floor. We'll all meet up there at 12.30 so don't be late – we have to go to the cinema at 1.15! Yes, but not an ordinary cinema – an IMAX 3D cinema! At quarter past one, we're booked to have a 3D experience called *Space Station.* You'll blast off into space with astronauts from the USA and Russia, and experience life on the International Space Station, two hundred and twenty miles above Earth. How does that sound? Great. OK, then we have our second guided tour at 2.45 – quarter to three – to see one of the special temporary exhibitions called *Fast Forward.* It's about twenty ways that Formula One technology is being used in our hospitals, homes and work places. For example, the materials and machines they've developed for the Formula One cars are now being used to make racing bikes, and sophisticated machines to monitor hospital patients. The tour should take about an hour – until 3.45. And I'm pleased to tell you that you'll then be free for the rest of the afternoon! You'll be able to go back to any galleries you're particularly interested in, or see something new. Now we'll leave the Museum at half past five so tell your parents you should be home by 8p.m. I think that's all for now. Oh, one last thing, check out the Science Museum website before we go. The more you read about it, the more interesting the visit will be.

Part 2 Reading

1: 2 b) 3 a) 4 c) 5 d) 6 b
2: 2 F 3 T 4 F 5 T 6 F 7 T 8 F 9 T 10 F 11 T